მართვის თანამედროვე მოდელების შედარებითი ანალიზი და მათი გავლენა საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის პროდუქტიულობაზე.

ბაჩანა მარგიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტის ფაკულტეტზე მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მენეჯმენტის პროგრამა

ხელმძღვანელი: რევაზ გერაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2026, თბილისი

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”.

ბაჩანა მარგიანი

17.04.2026

აბსტრაქტი

თანამედროვე ეკონომიკურ გარემოში მცირე და საშუალო ბიზნესის შედეგიანობა სულ უფრო მეტად დამოკიდებულია არა მხოლოდ ფინანსურ და საბაზრო ფაქტორებზე, არამედ მართვის ხარისხზეც. კონკურენციის ზრდა, რესურსების შეზღუდულობა და ცვლილებებზე სწრაფი რეაგირების საჭიროება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მართვის თანამედროვე მოდელებს. ნაშრომის მიზანია განისაზღვროს, რა გავლენას ახდენს მართვის თანამედროვე მოდელები საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის პროდუქტიულობაზე და გამოიკვეთოს მათი ცნობადობის, გააზრებისა და გამოყენების დონე ქართულ ბიზნესგარემოში.

კვლევა ეფუძნება რაოდენობრივ მეთოდოლოგიას. მონაცემები შეგროვდა სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით, რომელიც განთავსდა Google Forms-ის პლატფორმაზე და გავრცელდა LinkedIn-ისა და პროფესიული კავშირების მეშვეობით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 53 რესპონდენტმა, რომლებიც წარმოადგენდნენ მცირე და საშუალო ბიზნესის მფლობელებსა და მენეჯერული რგოლის წარმომადგენლებს. კითხვარი მოიცავდა თანამედროვე მართვის მოდელების ცნობადობის, რეალური ცოდნის, პრაქტიკული მართვის ჩვევების, გამოყენების, ბარიერებისა და შედეგიანობასთან კავშირის შეფასებას.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ თანამედროვე მართვის მოდელების ცნობადობა და პრაქტიკული გამოყენება საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესში შეზღუდულია. განსაკუთრებით სუსტია მათი სისტემური დანერგვა, ხოლო რეალური ცოდნა სხვადასხვა მოდელის მიხედვით არათანაბარია. ამავე დროს, გამოვლინდა, რომ თანამედროვე მიდგომების გამოყენებას ყველაზე მეტად აფერხებს ცოდნის დეფიციტი, დროის ნაკლებობა და შეზღუდული რესურსები. რესპონდენტების უმრავლესობა მართვის ხარისხს პირდაპირ უკავშირებს სამუშაოს ორგანიზებულობას, კოორდინაციას, სწრაფ რეაგირებას და საერთო შედეგიანობას.

ნაშრომი აჩვენებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის პროდუქტიულობა საქართველოში მხოლოდ გარე ეკონომიკური პირობებით არ უნდა აიხსნას. მნიშვნელოვანი როლი

ეკუთვნის შიდა მენეჯერულ ფაქტორებსაც, მათ შორის თანამედროვე მართვის მოდელების ცოდნას, ადაპტაციასა და პრაქტიკულ გამოყენებას. შესაბამისად, მათი უკეთ გააზრება და უფრო ფართოდ დანერგვა შეიძლება განიხილებოდეს მცირე და საშუალო ბიზნესის შედეგიანობისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად.

საკვანძო სიტყვები: მართვის თანამედროვე მოდელები, მცირე და საშუალო ბიზნესი, პროდუქტიულობა, ლინი, ეჯაილი, სქრამი, კანბანი, მენეჯერული პრაქტიკები.

Abstract

In the contemporary economic environment, the performance of small and medium-sized enterprises increasingly depends not only on financial and market factors, but also on the quality of management. Growing competition, limited resources, and the need for rapid adaptation to change give particular importance to modern management models. The aim of this thesis is to determine the impact of modern management models on the productivity of small and medium-sized enterprises in Georgia and to identify the level of their awareness, understanding, and application in the Georgian business environment.

The study is based on a quantitative methodology. Data were collected through a structured questionnaire placed on the Google Forms platform and distributed via LinkedIn and professional networks. A total of 53 respondents participated in the study, representing owners and managerial-level representatives of small and medium-sized enterprises. The questionnaire covered the awareness of modern management models, actual knowledge, practical management habits, usage, barriers, and their relationship to business performance.

The findings showed that awareness and practical use of modern management models in Georgian small and medium-sized enterprises are limited. Their systematic implementation is particularly weak, while actual knowledge varies across different models. At the same time, the study revealed that the main barriers to wider adoption are lack of knowledge, shortage of time, and limited resources. Most respondents directly associate management quality with work organization, coordination, responsiveness, and overall business performance.

The thesis shows that the productivity of small and medium-sized enterprises in Georgia should not be explained solely by external economic conditions. Internal managerial factors, including knowledge, adaptation, and practical use of modern management models, also play an important role. Accordingly, better understanding and wider implementation of these approaches may be considered one of the important directions for improving the performance and competitiveness of small and medium-sized enterprises.

Keywords: modern management models, small and medium-sized enterprises, productivity, Lean, Agile, Scrum, Kanban, management practices.

სარჩევი

შესავალი 1

თემის ფართო თეორიული ფონი 1

საქართველოს მაგალითი 5

კვლევის მნიშვნელობა 7

კვლევის მიზანი 8

საკვლევი საკითხები 9

ჰიპოთეზა 10

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა 10

მენეჯერული პრაქტიკები და მცირე ბიზნესის პროდუქტიულობა 10

ლინის როლი მცირე ბიზნესის ეფექტიანობასა და განვითარებაში 13

ლინისა და ეჯაილის ურთიერთკავშირი მცირე და საშუალო საწარმოებში 16

ეჯაილი და სქრამი როგორც მოქნილი მართვის მოდელები 18

კანბანის როლი სამუშაო ნაკადის მართვასა და პროცესის გამჭვირვალობაში 25

საქართველოს სტატისტიკური მონაცემები 28

ბიზნესგარემოს რაოდენობრივი გაფართოება საქართველოში 29

მცირე და საშუალო ბიზნესის ეკონომიკური მნიშვნელობა და შედეგიანობის საკითხი 33